№ 62
სამშაბათი, 22 მარტი 1894

1877—1894

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

№ 62
სამშაბათი, 22 მარტი 1894

ᲒᲐᲖᲗᲘᲗ ᲦᲘᲠᲘᲡ:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ᲤᲘᲤᲔᲓᲘᲡᲘ.
ᲒᲐᲖᲗᲘᲗᲘᲡ ᲓᲐᲚᲐᲑᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქორვასლა.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“

გამოდის 1894 წელს
ᲘᲛᲐᲕᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲘᲜᲐᲓ.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ᲤᲘᲤᲔᲓᲘᲡᲘ,
„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ
ნიკოლოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქორვასლა.

საფოსტო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

ტელეფონი № 92.

საწყობი ვოკზლის ახლო ავჭალის ქუჩის ბოლოს.

ნავთი საუკეთესო თვისებისა

ამ ნავთს მშვარტლი და სუნი სრულებით არა აქვს, რაც დაამტკიცა საბჭოს დარბაზის განთებამ ყოველ ხმოსანთა კრებაზედ. ეს ნავთი ტფილისში იშოვება მხოლოდ საწყობში

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲘᲡᲐ „ᲡᲕᲔᲢ“

შემზადება ამ ნავთისა შეკვეთილია განსაკუთრებით ბაქოში **Ი. Გ. ᲒᲝᲠᲜᲘᲩᲘᲡ** ნავთის ქარხანაში. ფერი ნავთისა $^1/_2$ მარკი, როცა ანთია არც სუნი აქვს და არც მშვარტლი, ალი ნამდვილი თეთრი აქვს, ათი საათის განმავლობაში ალს ძლიერება არ აკლდება. **ᲤᲣᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ** 1 მანეთი გაუგზავნელად და გაგზავნით 1 მან. და 10 კ. თითოეულ მუშტარს იმის დასამტკიცებლად, რომ ნავთი სწორედ ამ ამხანაგობისაა, მიეცემათ ანგარიში ამხანაგობის ბეჭედ დასმული. დაკვეთა შეიძლება ტელეფონით და ქალაქის ფოსტით არა ნაკლებ 3 ფუთისა და გაგზავნებათ მეორე დღესვე. ნავთი გაეგზავნებათ რკინის ქვაბებით ამ წარწერით «ნავთი საუკეთესო თვისებისა ნავთის ამხანაგობისა» «სვეტ». (10—10)

მეორედ დანიშნული ცამეტს ამა მარტისასა კრება ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა არ შესდგა, რადგანაც კანონის მოთხოვნილებით თავად-აზნაურობა არ მოვიდა.

ამის გამო, **ᲑᲝᲠᲩᲐᲚᲝᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚ-ᲨᲝᲒᲘᲚᲗ** წინამძღოლი დანიშნავს მაზრის **ᲙᲠᲔᲑᲐᲡ ᲝᲪ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲓᲛᲔ ᲐᲛᲐ ᲛᲐᲠᲢᲘᲡᲐᲡᲐ** და სთხოვს იმ თავად-აზნაურობას მაზრისასა, რომელთაცა აქვთ უფლება არჩევანებში დასწრებისა ამა კრებაზედ, მობრძანდნენ ზემოდ აღნიშნულ დღეს, თორმეტს საათზედ, დილით, ტფილისის კეთილ-შობილთ დეპუტატთა საკრებულო სადგურის დარბაზში, პუშკინის ქუჩაზედ, ექიმ კუკჯუანოვის სახლში, და ვიდრე კრება შესდგებოდეს, წარმოუდგენონ მას, წინამძღოლს, დეპუტატთა საკრებულო კანცელარიაში საბუთნი თავიანთ უფლებისა, რომელიც თუ არ წარმოადგენენ, არ იქნებიან ჩაწერილნი სიაში. (3—3)

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

*** მთავრობას განუზრახავს ტფილისის სასულიერო სემინარიის გარდა, კიდევ მეორე სემინარია დააარსონ ქალაქს ქუთაისში.

*** შარაძისა და ამხ. სტამბას მოუვიდა რვა ხმის ყველა წარდგომა, დიდება და აწდა ბ ნ ფ. ქორიძისმიერ ნოტებზედ გადადებული ბ-ნთა დუმბაძეთა დახმარებით.

*** რადგანაც ისკანდერ მუნჯის წიგნი ჩვენ ისტორიაში საჭირო მასალად ითვლება, ამიტომ ითხოვს ერთი ქართველი მაჰმადიანი, რომ ეს წიგნი თუ ვისმეს მოეძებნა მას დაუთმონ თუ მთლად არა დროებით მაინც და ეს პირი გადმოსთარგმნის ამ წიგნს ქართულს ენაზედ. ამ პირმა ყველა აზიური ენები კარგად იცის. წიგნი თუ არის სადმე, «ივერიის» რედაქციას გამოუგზავნონ ან ბარათით ფასი აცნობონ.

*** წერაკითხვის სამმართველო ბეჭდავს საყმაწვილო მოთხრობას, სახელდობრ „მარიამი“ შმიტისა, თარგმანი რუსულიდამ.

*** ამ ჟამად მ. შარაძისა და ამხ. სტამბაში იბეჭდება ისტორიული მონოგრაფია „სიმონ მეფე“ და გ. ჩარკვიანის სტამბაში „როსტომ მეფე“, ანუ ხოსრო მირზა. პირველი ამ მონოგრაფიების შარშან „ივერიაში“ იყო დაბეჭდილი და მეორე „ცდა“-ში. ორივე ეკუთვნის დ. კარიჭაშვილს, ხოლო ბეჭდავს ბ-ნი ზ. ჭიჭინაძე და რადგანაც ამ მეფეთა ცხოვრებას ერთობ მჭიდრო კავშირი აქვს სამცხეწარსულ დროთა ქართველთა ყოფას ცხოვრებასთან, ამიტომ რამდენიმე ასი წიგნი სამცხე საათაბაგოში იქმნება უფასოთ მოფენილი.

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ ბ. ნავასარდიანს, რომელმაც რამდენიმე მოთხრობა გადასთარგმნა ყაზიბეგისა და „მურჯში“ დაბეჭდა, ახლა დაუწყია „მამის მკვლელის“ თარგმნა.

*** გაზ. „Русская Жизнь“-ის სტატეა, რკინის გზათა დეპარტამენტს მოსწავლეთა საშუალავითო ბილეთების შესახებ განუმარტავს, რომ მოსწავლეებს შეუძლიანთ საშუალავითო ბილეთებით ისარგებლონ არა მარტო საზაფხულოდ დათხოვნის დროსა და სასწავლებლებში სწავლის დასაწყისისას დასაბრუნებლად, არამედ მთელის წლის განმავლობაში, ყოველ შემთხვევაში, თუ სასწავლებლის მთავრობისაგან შესაფერი მოწმობა ექმნებათო.

*** საგარეჯო. საკვირველია, ღმერთმანი, ამ სოფელ საგარეჯოს ამბავი. ათას-ხუთასი კომლი მცხოვრები იქნება და ვერ ითავეს აქაურმა მცხოვრებლებმა რომ ფოსტა დაეარსებინაო, რომ წერილებსა და აგრეთვე სხვა კორესპონდენციებს მიეწოდოთ სოფელ საგარეჯომდე. კაცს რომ წერილს გაგზავნა უნდოდეს, ვერ გაუგზავნია უფოსტობის გამო და წამსვლელსაც ვერავის ჰნახამთ, რომ წერილი გაატანოთ. მის გამო სულ გვაკიწყდება ჩვენი სამშობლო ქვეყანა, ამ გარეთ გასულ ხალხს. კარგი იქნებოდა, რომ გამოეღვიძნა აქაურს მცხოვრებლებს და მიემართოთ, ვისგანაც შესაძლებელი იყო ფოსტის დაარსების თხოვნითა.

*** გაზ. „Нов. Обоз.“ ამბობს, რომ, როგორც ჩვენ გვატყობინებენ ნამდვილის წყაროებიდგან, წარსულ სეზონში სომხურს დრამატიულს საზოგადოებას დასის შესანახავად დეფიციტი ჰქონია 5,500 მ. ამ დაკლებულის ფულის გადახდა განუზრახავს რამდენსამე შეძლებულს სომხურ თეატრის მოყვარულს.

*** 19 მარტს საზოგადო ქუჩაზე ეკატერინე მირზოევის სახლის აივნიდგან სალომე ხოსროევისას მოჰპარეს 200 მან. ღირებული წამოსასხამი

*** ამავე დღეს ცალიერს ქუჩაზედ ტერ-აბრამოვის სახლთან იპოვეს სამის კვირის დაბადებული მიგდებული ბავში და საბებიო ინსტიტუში გაგზავნეს.

ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ.

ასოთ-ამწყობთა უყურადღებობის გამო წარსულ კვირის „ივერიის“ №-61 №-ში ორი შესამჩნევი შეცდომა გაპარულა. ამ №-ის ფელეტონში „გიორგი წერეთელი და მისი ვეჭილი მახაკელი“, დასაწყისში, პირველ სვეტის ქვემოდგან მეორე სტრიქონში დაბეჭდილია: „ᲬᲔᲓᲔᲗᲘᲡ ᲘᲜᲔᲚᲘ... ᲑᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲪᲐ-

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲑᲔᲓᲘ „ᲜᲐᲫᲐᲚᲐᲓᲔᲕᲔᲚᲗᲐ“

წელიწადზე მეტია, რაც კუკიის გადაგდებულ და გახრიოკებულ საქალაქო მიწებზედ ქოხი აიშენეს ტფილისის ღარიბმა მცხოვრებლებმა, რომელნიც აქამდის ვაითა და ვაგლახით სულს იბრუნებდნენ ქალაქის ნესტიანსა და აყოლებულ სარდაფებში. რამდენადაც ამ ადგილებს ყურს არავინ ათხოვებდა წინად, ასე გასინჯეთ, თვით ქალაქის გამგეობაც-კი, იმდენად დღეს ყველას „ნაძალადევი“ აკერია პირზედ. გაზეთები გინდათ „ნაძალადევის“ თავგადასავალს მოგითხრობენ დაწვრილებით, საბჭოს აიღეთ და „ნაძალადევის“ სახელს თვით დარბაზის კედლებიც-კი გაიძახიან ხმა-მაღლა, გამგეობას ხომ მოსვენება აღარა აქვს ამ „ნაძალადევისაგან“ და ეს ამოდენა აუარებელი ღარიბ-ღატაკი ხალხი ქალაქის მოურავს ეღობება წინ, ხან გამგეობის წევრთ და ხან „სტოროჟებსაც“-კი. ყველა ამათ უცვივიან მუხლებში და ემუდარებიან: თქვენს ღმერთს შეხედეთ, ნუ გადაგვყრით წყალში, დე, ჩვენც ერთი საკუთარ ჭერ ქვეშ ამოვისუნთქოთ, ერთი ჩვენც დაეძლიოთ სიტკბოება საკუთარის ბინადრობასაო, და ამ სიტკბოებისათვის გვიმსახურეთ, რითაც გინდათო, ჩვენ არ გავურით ხარჯსაო.

ნაძალადეველთა საქმეს სხვა-დასხვა თვალით შეჰხედეს ქალაქის თვითმმართველობამ, ჟურნალ-გაზეთებმა და საზოგადოებამ. ერთნი შეშინებულის ხმით გაიძახიან—არიქა, გვიშველეთ! ყაჩაღები დაგვსხმიან თავსა და ავიზაკურის ძალ-მომრეობით ჭლახავენ ჩვენს უფლებას, გვართმევენ საკუთრებას, ეწინააღმდეგებიან წესს, რიგს და ურა-ყოფენ კანონს! აბა, ქუდზე კაცი! გამოდით ყველანი, ვისაც-კი ლომისა და წერაქვის აღება შეგიძლიანთ, რომ დაევანგრიოთ ჩვენს მამულზე გაშენებული ხახლები ტ ცეცხლში ჩავყაროთ საშენი მასალა. ეგეც ისეთი სუსხიანი იერიში მივიტანოთ მაგ ავაზაკებზედ, რომ თავიანთ გაჩენის დღენი ვაწყეველინოთ, თორემ ქვეყანა დაიქცევა და ყველას თან ჩაგვიტანსო. არიქა, „თოფი, ხმალი, ხარბაზანონო“!..

ასეთი სამთავარ-სარდლო ლექსები გესმით ბევრგან, თვით გაზეთებსა და საზოგადოებაშიაც. საომრად გამზადებული რაზმი, აღელვებული კეთილ-შობილური პატივისცემით საკუთრების უფლებათა მიმართ, მზაა დაერიოს ნაძალადეველთ, დაიფრენოს იგინი და სულ კუდით ქვა ასროლინოს.

მაგრამ ქალაქის თვით-მმართველობაში, იმავ გაზეთებსა და საზოგადოებაში ჰხედავთ აზრის მეორე გვარს მიმართულებასაც. ეს მიმართულება სრულებით სხვაფრივ უყურებს საქმის ვითარებას და გაიძახის: გული დაიმშვიდეთ, დაწყნარდით, შეასვენეთ იარაღი, აქ საომარი ღვთით ჯერ არა არის-რა და არც მოსალოდნელია, რომ ამ საქმემ როდისმე ომამდე მიგვიყვანოსო. ძმამ ძმას ანგარიში უყო—ისევ ძმები დარჩენენ. ჩვენ ხომ დიდიხანია გავიცვითეთ ენა ლიბერალურ მოძღვრებათა ქადაგებით, რომ ღარიბნიც ჩვენი ძმები არიანო. აგერ ახლა თვით ცხოვრებამ შეგვატყობა ისეთს გარემოებას, სადაც ლიბერალური ქადაგება საქმით უნდა გამოიცადოს, და ისე ნუ შევირცხვენთ თავს, ისე ნუ დავკარგავთ მთავარგონებას, რომ გულ-გრილად ვერ გავუსწოროთ თვალი ამ გარემოებას, კეთილ-შობილურად ვერ გავუწიოთ ანგარიში ჩვენთა მოძმეთა და ვერ დავამყაროთ კეთილი განწყობილება ჩვენს შორისაო.

რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ განსხვავება ამ ორთა შეხედულობათა შორის, გავიხსენოთ ქალაქის საბჭოს კრება, სადაც დიდი ცხარე კამათი გამოიწვია ამას წინად ისევ და ისევ ნაძალადევმა.

მაგრამ ვიდრე ხმოსნების ბაას მოვიყვანდეთ, ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ იმ მიზეზის შესახებ, რომელმაც საბჭოს მოაგონა ნაძალადევი. საქმე იმაში გახლავთ, რომ საუფლისწულო ქონებათა უწყებამ განიზრახა ღვინის საწყობი გაჰმართოს ვოგზალს ახლო და ამისთვის მიჰმართა ქალაქის გამგეობას — მომყიდე ორი დღიური მიწა ჩრდილოეთ ფერდობზე კუკიის რეზერვუართანო და საკენ მიწაში სამ მანეთს მოგცემო. ოთხასიოდე საკენზედ შენობას გავაკეთებ, ხოლო დანარჩენ ადგილზედ ტყეს გავაშენებო. სწორედ ამ ფერდობზე ასკუპია ოც-და-ათამდე ქოხი ნაძალადეველთა. გამგეობამ აიღოდაიღო და გადასწყვიტა—მივცეთო, თუ საკენში ოთხ მანეთს მოგვცემსო და ავჭალის ქუჩიდამ მოკიდებული იმ ფერდობამდე ქუჩას გაიყვანს და ქვითაც დაჰფენს აღნიშნული უწყება თავის ხარჯითაო. ამასთანავე გამგეობამ უნდა დააქციოს ხსენებული 30 ქოხი ნაძალადეველთა, რომელთაც შეეძლიანთ ძირს ჩამოიტანონ თავიანთი შენობები და დასახლდნენ ქალაქის ვაკე ადგილზედ, უკეთუ წელიწადში ექვს-ექვს შაურს იჯარას მისცემენ ქალაქს საკენშია.

აი ამ ამბავმა გამოიწვია კამათი საბჭოსი.

ხმოსანმა ხუდადოვმა მოახსენა კრებას, რომ თუ-კი ქალაქის მიწებს გავყიდით, უფრო უპრიანია ნაძალადეველთა მივყიდოთ, ვიდრე სხვას ვისმე, მით უმეტეს, რომ იმათ ამაგი გაუწევიათ და ხომ მაგ ფასებს დიდი სიმოვნებით გაიღებენ იგინი, და დაქცევა დაწიოკებას რაღას ვემართლებითო.

ხმოსანმა ქოჩორიანცმა უპასუხა, რომ ხალხს, რომელსაც ნამუსსზედ ხელი აუღია და უნებაყოფლოდ სხვათა ქონებას დაჰპატრონებია, არა უნდა დავუთმოთ რაო, თორემ ქალაქის

დინეობისა გამო“, უნდა იყოს: „ბდღვირს ოდენს“ „ბეერის მეცადინეობისა გამო“.

შემდეგ ლექსის „უნგრეთის მამულიშვილი“, რომელიც ამავე ნომერშია დაბეჭდილი, პირველს ტაეში მეორე სტრიქონში სწერია „ბერი“, უნდა იყოს: „ერი“, ხოლო მეოთხეში დაბეჭდილია „ერი“, უნდა იყოს: „ბერი“.

სამკურნალო საზოგადოების კრება

19 მარტს

19 მარტს კავკასიის სამკურნალო საზოგადოების კრებაზედ, სხვათა შორის, წაკითხულ იქმნა საყურადღებო მოხსენება ამიერ-კავკასიის რკინის გზის განყოფილების ექიმის სმირნიტსკისა.

საქმე იმაშია, რომ ამ გზის გასინჯვის დროს სახელმწიფო გზების ვიცე-თავმჯდომარემ გორჩაკოვმა მიაქცია ყურადღება საშინელ გავრცელებულს ავადმყოფობას—ციებას აჯიქაბულის სადგურის მსახურთ შორის, და დაავალა ექიმს სმირნიტსკის ლონისძიება რამ მიეღო ამ ავადმყოფობის ასაცილებლად.

ის სწორე ადგილი, რომელზედაც მდებარეობს სადგური აჯიქაბული, დასავლეთ-აღმოსავლეთის მხრივ შემოზღუდულია გორაკებით, და ჩრდილოეთის მხრივ, სადგურიდგდან 2 ვერსის მანძილზედ, არის ტბა, რომ ლიდგანაც მცხოვრებლები წყალსა ჰხმარობენ, ხოლო, სასმელად-კი არა, ისე სახმარებლად. ეს ტბა შეტბორებულა წინად მტკვრიდგან გამოყვანილის სარწყავ რუსაგან და, მცირე სიღრმესთან შედარებით, სიგანე 9 ვერსი აქვს. იმისდა მიუხედავად, რომ სადგური აჯიქაბული მდებარეობს მთების ძირში, არ არის მაინც დაფარული სამხრეთ-ჩრდილოეთის ქარებისაგან, რომელიც ჰქრის ტბისა და ჭაობებიდგან.

სითბოში დამდგარი წყალი ამ ტბა-ჭაობისა ყროლდგმა და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ქარს მიაქვს სადგურისაკენ აქედგან მიაზმები, რომელიც ციებას აჩენს. აჯიქაბულში ექვსასზე მეტი მცხოვრებელია, რომელთ შორის ერთიც არ მოიპოვება, რომ ყოდრს ვერ ისწავლისო.

ხმოსანმა შახაზიზოვმა წარმოსთქვა, რომ ეგ ხალხი სრულებითაც არ არის ნამუსზედ ხელ-აღებული. რაკი ქალაქის მამულს დაეპატრონე, უნამუსო ხარო— ეუბნებიან საწყლებს და ძალიანაც სცდებიან ამისი მთქმელნი, იმიტომ რომ ყველანი კაცნი ვართ და ბერვრნი დაჰპატრონებიან ქალაქის მიწებს ისეთნაკი, რომელთაც სახლეები და ქარვასლები აქვთ წამოქიმული, მაგრამ აბა ერთი გაუბედეთ და უთხარით—ჰაი, შე უნამუსოვო! გარდა ამისა, მაგ საცოდავ ხალხს თავის ოფლი შიგ ჩაუღვრია და ეხლა თქვენ გინდათ, რომ ყოველისფერით ცარიელი და ღატაკი ხალხი ქოხებიდამაკი-კი ცარიელზედ დასვათ!.. მაგრეკი არა, ჩვენ მოვალენი ვართ ხელი შევუწყოთ ნაძალადევის ყოველ მოსახლეს და შეღავთით შევასყიდოთ მამულებიო.

ხმოსანმა ევანგულოვმა გაიოცა ასეთი მოსაზრება და უპასუხა—რაღა სინიდის გაწყვეტილ საწყლებს უნდა გაუმართოს ქალაქმა ხელი, როდესაც ნამუსიან საწყლებით სავსეა ჩვენი ტფილისიო და არა ნაკლებ ეჭირვებათ დახმარებაო.

ქალაქის მოურავმა მოახსენა კრეციების არ იყოს გატანჯული. ამ სენის წინააღმდეგ არავითარი წამალი არა სჭრის. ერთი საშუალება ის-ღა არის, რომ აჯიქაბულის მოხელენი და მცხოვრებელნი სხვაგან იქმნენ გადაყვანილნი.

გაზაფხულ-შემოდგომის დადგომას ადგილად იგრძნობენ ხოლმე აჯიქაბულის მცხოვრებელნი ციების დაწყებით. ექიმის სვერნიტსკის აზრით, ამ უბედურების აცდენა სრულიად ადვილად შეიძლება, საჭიროა მხოლოდ, რომ აჯიქიბულის ტბა-ჭაობების გარს ორასის საჟენის სიგანეზედ ხეხილები ჩაიყაროს. ეს ხეხილები ისე გასწმენდავენ ჰაერს, რომ ციება სრულიად მოისპობაო.

კორესპონდენცია

—

დ. ჩხარი, 17 მარტი. ჩვენი, თითქმის ყოველ მხრივ, დაცემული დაბა ამ მოკლე დროში ორ ძვირფას განძის შეძენას მოელის. ამას წინად მქონდა „ივერია“-ში (№ 46) მოხსენებული, რომ ჩხარში სასოფლო ბანკის დაარსებას აპირებენენ, სადაც თვითოეულს წვერს შეძლებისამებრ უნდა შეეტანა ფული, რათა ამ ბანკს დახმარება გაეწია სოფლისთვის გაჭირვების დროს, მაგრამ ხალხმა ეს აზრი უარ-ჰყო-მეთქი. დიაღ, ჩვენებურებმა უარ-ჰყვეს ბანკის დაარსება, მაგრამ მთავრობამ აღარ მიაქცია ყურადღება ამ უარ-ყოფას და გამოსცა ბრძანება, როგორც უნდა იყვეს, ჩხარში, როგორც სხვაგან, დაარსებული იქმნეს სასოფლო ბანკი და ამ აზრით თვითეულ გლეხისაგან მოკრებილ იქმნეს ოროლი აბაზიო. მთავრობის ბრძანება ადგილობრივს ბოკაულს სისრულეში მოჰყავს ამ ჟამად და იმედი გვაქვს მალე მოვესწრებით ამ კარგი განძრახვის განხორციელებას.

ამას გარდა ადგილობრივის სამრევლო სკოლის მზრუნველის მეცადინეობით ხსენებულ სკოლასთან მცირე დროში დაარსებული იქნება წიგნთ-საცავი. დიდი იმედი გვაქვს, რომ მზრუნველის მეცადინეობა ამაბას, რომ ნაძალადეველთა შორის მომეტებული ნაწილი შეძლებული ხალხი აღმოჩნდა, რომელსაც ქალაქის სხვა-და სხვა განყოფილებაში საკუთარი სახლ-კარი აქვს, ან სოვდაგრობს, ან იჯარადოობსო. ამავე დროს ნამდვილ ღარიბთა რიცხვი-კი ძალიან მცირეა მათშიო. საქმის აგებ ვითარების მიხედვით, ქალაქი უნდა შეწუნარებით მოეპყრას მართლა გაჭირვებულს, ხოლო იმათ-კი, რომელთაც შეუძლიანთ უმუნათოდ გიტანონ ცხოვრებაში თავი, ვერ დაეხმარება ჩვენი ქალაქისთანა ღარიბი ქალაქიო.

**

ხსენებული კამათი დაბოლოვდა გამგეობის მიერ აღიარებულ გარდაწყვეტილებით: ქალაქი ხელს ვერ აიღებს თავის მიწაზედ, ამის გამო უნდა კანონით აღადგინოს თავისი უფლება საკუთრებისა, ე. ი. მიჰმართოს სასამართლოს, უჩივლოს ყოველ ნაძალადეველს და მიიღოს აღმასრულებელი ფურცლები ყველაზედ სათითაოდ. როდესაც ამ სახით ხელში ექმნება უტაყეარი საბუთი მფლობელობისა, მაშინ იგი ჩამოართმევს ადგილს იმისთანა მოსახლეს, რომელსაც საკმაო შეძლება აქვს ცხოვრებისა და მხოლოდ Lიხარბით ეპოტინება ქალაქის მამულს, აგრეთვე იმისთანეს, ვისაც სხვაგან აქვთ საკუთარი სახლ-კარი. რაიცა შეეხება ნამდვილად ღარიბ ხალხს, იმათ ქალაქთან პირობა უნდა შეჰკრან იჯარისა, ან უნდა თხოვნა შემოიტანონ და განაცხადონ თავიანთი პირობანი მამულების შესყიდვისა. ამ გარდაწყვეტილებით ქალაქს იმედი აქვს, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოისპობა უკანონო მტაცეველობა ქალაქის მამულებისა და თახაც ყოველ მსურველს მიეცემა სრული საშუალება კანონიერად აიღოს ქალაქის მიწა ან იჯარით, ან სყიდვით, როგორც-კი შეჰრიგდება გამგეობას.

ასეთმა გარდაწყვეტილებამ გამგეობისამ დაამშვიდა ქალაქის საბჭო და დღეს საქმის ვითარება ამ წერტილზედ არის შეჩერებული.

ხოლო ჩვენა ვფიქრობთ, რომ გამგეობას ერთი ნაბიჯი კიდევ უნდა გადაედგა წინ და მაშინ უფრო უკეთესს გზას დაადგებოდა, რომ ქალაქის მამულებიც მკვიდრად დაეპირა ხელში და სამდურავისაგანაც სამუდამოდ გაეთავისუფლებინა თავი. ზემომოყვანილი გარდაწყვეტილება-კი თავს დღეში ვერ იხსნის მას სამდურავისა და საყვედურისაგან. თვით საბჭოსავე ხმოსანმა და წევრმა ნაძალადეველთა კომისიისამ, თავადმა ნ. ე. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა საბჭოს კრებაზედ შემდეგი სამართლიანი საყვედური გამოუცხადა გამგეობას: რა-კი ქალაქისთვის მაგრეგგწოდათ გული, იმავ თავით უნდა გამოგედოთ თავი და აღმასრულებელ ფურცლის შეწყობით გაგეძევებინათ ის მოსახლე, რომელიც პირველად დაეპატრონა ქალაქის მამულს და მაშინ სხვები ვიღარ გაკადნიერდებოდნენო. რაკი პირველმა მოსახლემ დაუბრკოლებრივ გიკეთა შენობა, დანარჩენთაც აეშალათ საღერღელი საკუთარის ბინის გაკეთებისა იმ იმედით, რომ ალბად ქალაქი არა თუ გზაზედ არ გადაგვეღობება, არამედ ხელსაც შეგვწყობს, რომ ხრიაკი მამულები ჩვენ მაინც გამოვიყენოთო. ამ საყვედურს ხმოსანმა ა. ბაბოვმა დაუმატა: მაგ ხალხს ძალა-კი არ უსმარნია, პირიქით, მუდამ ეხვეწებოდა გამგეობას, თხოვნებს აძლევდა-გადაგვახდევინეთ ყოველი ხარჯი, ოღონდ ნება მოგვეცით დაკსახლდეთ ისეთ მამულებზედ, რომელიც დღეს თქვენთვის სრულებით უსარგებლოაო.

აი საყვედური, რომელიც უნდა ეცემოდეს ერთობ საგრძნობელს ნაკლს შეადგენს აქაური საზოგადოებისთვის.

იმედი გვაქვს, აგრეთვე, რომ ნაკლებად არ თანაუგრძნობენ ამ საშვილი-შვილო საქმეს და დაგვეხმარებიან: წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქართველთა ამხანაგობანი როგორც თბილისისა, აგრეთვე ქუთაისისა; ბ. ი. გოგებაშვილი, რომელმაც აღვითქვა თვის მიერ შედგენილის წიგნების უსასყიდლოდ დათმობა; ბ. ლ. აღნიაშვილი (თავის „ანბანი“-თ) და მრავალი სხვა კერძო პირი, ვისაც-კი ქართველთა გონების განათლებისათვის გული უძგერს. შემოწირულებათა გამოგზავნა შეიძლება ამ აღრესით: Въ м. Квирилы. Черезъ Шорапанское уѣздное правленіе въ м. Чхари. Попечителю Чхарской приходской школы священнику Моисею Джугели.

მარტი თავისებურად გვატყუებს; ხან გაზაფხულის სუნს გვასუნთქვინებს, ხან სუსხიან ზამთრისას; დღეს რომ წვიმს, ხვალ სთოვს, ზეგ სასტიკი ქარი ჰქრის, მაზეგ მზიანი, მყუდრო ამინდია და სხვ. დღე ხშირად აინაირად იცვლება. ავადმყოფობა თუ მატულობს, თორემ არ კლებულობს. ხალხი ისევ მშიერია, მაგრამ სასოწარკვეთილებაში არა ვარდება.

სვე. ჯუღელი

პატარა ლიახვის ხეობიდგან.

ისე აუტყდნენ ამ პატარა ლიახვის ხიდს, რომ ყბად-აღებული ლამის წყალს წაალებინონ. მთელის მახრისაგან ნაშრომ და ნაამგევს ჯერ თითო ოროლა მწერალნი გამოუჩნდნენ, რომელნიც ამტკიცებდნენ იმის უვარგისობას და ახლა იქამდის მივიდნენ, რომ დანგრევა და დაფუშვა დაუწყეს. ეს ამბავი ხუმრობა-კი არ გეგონოს მკითხველო. აი სწორედ თერთმეტ ამ მარტიდგან იწყეს ბოროტმომქმედთა დანგრევა ამ ხიდისა და აი ამ წერილს რომ გწერთ, თოთხმეტია და ყოველ ღამე თითქმის ხან მოაჯირებს, ხან რომელსამე ნაწილს ხიდისას ანგრევენ, თუმცა ოცდაერ ისწავლისო.

ხმოსანმა შახაზიზოვმა წარმოსთქვა, რომ ეგ ხალხი სრულებითაც არ არის ნამუსზედ ხელ-აღებული. რაკი ქალაქის მამულს დაეპატრონე, უნამუსო ხარო— ეუბნებიან საწყლებს და ძალიანაც სცდებიან ამისი მთქმელნი, იმიტომ რომ ყველანი კაცნი ვართ და ბერვრნი დაჰპატრონებიან ქალაქის მიწებს ისეთნაკი, რომელთაც სახლეები და ქარვასლები აქვთ წამოქიმული, მაგრამ აბა ერთი გაუბედეთ და უთხარით—ჰაი, შე უნამუსოვო! გარდა ამისა, მაგ საცოდავ ხალხს თავის ოფლი შიგ ჩაუღვრია და ეხლა თქვენ გინდათ, რომ ყოველისფერით ცარიელი და ღატაკი ხალხი ქოხებიდამაკი-კი ცარიელზედ დასვათ!.. მაგრეკი არა, ჩვენ მოვალენი ვართ ხელი შევუწყოთ ნაძალადევის ყოველ მოსახლეს და შეღავთით შევასყიდოთ მამულებიო.

ხმოსანმა ევანგულოვმა გაიოცა ასეთი მოსაზრება და უპასუხა—რაღა სინიდის გაწყვეტილ საწყლებს უნდა გაუმართოს ქალაქმა ხელი, როდესაც ნამუსიან საწყლებით სავსეა ჩვენი ტფილისიო და არა ნაკლებ ეჭირვებათ დახმარებაო.

ქალაქის მოურავმა მოახსენა კრეციების არ იყოს გატანჯული. ამ სენის წინააღმდეგ არავითარი წამალი არა სჭრის. ერთი საშუალება ის-ღა არის, რომ აჯიქაბულის მოხელენი და მცხოვრებელნი სხვაგან იქმნენ გადაყვანილნი.

გაზაფხულ-შემოდგომის დადგომას ადვილად იგრძნობენ ხოლმე აჯიქაბულის მცხოვრებელნი ციების დაწყებით. ექიმის სვერნიტსკის აზრით, ამ უბედურების აცდენა სრულიად ადვილად შეიძლება, საჭიროა მხოლოდ, რომ აჯიქიბულის ტბა-ჭაობების გარს ორასის საჟენის სიგანეზედ ხეხილები ჩაიყაროს. ეს ხეხილები ისე გასწმენდავენ ჰაერს, რომ ციება სრულიად მოისპობაო.

კორესპონდენცია

—

დ. ჩხარი, 17 მარტი. ჩვენი, თითქმის ყოველ მხრივ, დაცემული დაბა ამ მოკლე დროში ორ ძვირფას განძის შეძენას მოელის. ამას წინად მქონდა „ივერია“-ში (№ 46) მოხსენებული, რომ ჩხარში სასოფლო ბანკის დაარსებას აპირებენენ, სადაც თვითოეულს წვერს შეძლებისამებრ უნდა შეეტანა ფული, რათა ამ ბანკს დახმარება გაეწია სოფლისთვის გაჭირვების დროს, მაგრამ ხალხმა ეს აზრი უარ-ჰყო-მეთქი. დიაღ, ჩვენებურებმა უარ-ჰყვეს ბანკის დაარსება, მაგრამ მთავრობამ აღარ მიაქცია ყურადღება ამ უარ-ყოფას და გამოსცა ბრძანება, როგორც უნდა იყვეს, ჩხარში, როგორც სხვაგან, დაარსებული იქმნეს სასოფლო ბანკი და ამ აზრით თვითეულ გლეხისაგან მოკრებილ იქმნეს ოროლი აბაზიო. მთავრობის ბრძანება ადგილობრივს ბოკაულს სისრულეში მოჰყავს ამ ჟამად და იმედი გვაქვს მალე მოვესწრებით ამ კარგი განძრახვის განხორციელებას.

ამას გარდა ადგილობრივის სამრევლო სკოლის მზრუნველის მეცადინეობით ხსენებულ სკოლასთან მცირე დროში დაარსებული იქნება წიგნთ-საცავი. დიდი იმედი გვაქვს, რომ მზრუნველის მეცადინეობა ამაბას, რომ ნაძალადეველთა შორის მომეტებული ნაწილი შეძლებული ხალხი აღმოჩნდა, რომელსაც ქალაქის სხვა-და სხვა განყოფილებაში საკუთარი სახლ-კარი აქვს, ან სოვდაგრობს, ან იჯარადოობსო. ამავე დროს ნამდვილ ღარიბთა რიცხვი-კი ძალიან მცირეა მათშიო. საქმის აგებ ვითარების მიხედვით, ქალაქი უნდა შეწუნარებით მოეპყრას მართლა გაჭირვებულს, ხოლო იმათ-კი, რომელთაც შეუძლიანთ უმუნათოდ გიტანონ ცხოვრებაში თავი, ვერ დაეხმარება ჩვენი ქალაქისთანა ღარიბი ქალაქიო.

**

ხსენებული კამათი დაბოლოვდა გამგეობის მიერ აღიარებულ გარდაწყვეტილებით: ქალაქი ხელს ვერ აიღებს თავის მიწაზედ, ამის გამო უნდა კანონით აღადგინოს თავისი უფლება საკუთრებისა, ე. ი. მიჰმართოს სასამართლოს, უჩივლოს ყოველ ნაძალადეველს და მიიღოს აღმასრულებელი ფურცლები ყველაზედ სათითაოდ. როდესაც ამ სახით ხელში ექმნება უტაყეარი საბუთი მფლობელობისა, მაშინ იგი ჩამოართმევს ადგილს იმისთანა მოსახლეს, რომელსაც საკმაო შეძლება აქვს ცხოვრებისა და მხოლოდ Lიხარბით ეპოტინება ქალაქის მამულს, აგრეთვე იმისთანეს, ვისაც სხვაგან აქვთ საკუთარი სახლ-კარი. რაიცა შეეხება ნამდვილად ღარიბ ხალხს, იმათ ქალაქთან პირობა უნდა შეჰკრან იჯარისა, ან უნდა თხოვნა შემოიტანონ და განაცხადონ თავიანთი პირობანი მამულების შესყიდვისა. ამ გარდაწყვეტილებით ქალაქს იმედი აქვს, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოისპობა უკანონო მტაცეველობა ქალაქის მამულებისა და თახაც ყოველ მსურველს მიეცემა სრული საშუალება კანონიერად აიღოს ქალაქის მიწა ან იჯარით, ან სყიდვით, როგორც-კი შეჰრიგდება გამგეობას.

ასეთმა გარდაწყვეტილებამ გამგეობისამ დაამშვიდა ქალაქის საბჭო და დღეს საქმის ვითარება ამ წერტილზედ არის შეჩერებული.

ხოლო ჩვენა ვფიქრობთ, რომ გამგეობას ერთი ნაბიჯი კიდევ უნდა გადაედგა წინ და მაშინ უფრო უკეთესს გზას დაადგებოდა, რომ ქალაქის მამულებიც მკვიდრად დაეპირა ხელში და სამდურავისაგანაც სამუდამოდ გაეთავისუფლებინა თავი. ზემომოყვანილი გარდაწყვეტილება-კი თავს დღეში ვერ იხსნის მას სამდურავისა და საყვედურისაგან. თვით საბჭოსავე ხმოსანმა და წევრმა ნაძალადეველთა კომისიისამ, თავადმა ნ. ე. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა საბჭოს კრებაზედ შემდეგი სამართლიანი საყვედური გამოუცხადა გამგეობას: რა-კი ქალაქისთვის მაგრეგგწოდათ გული, იმავ თავით უნდა გამოგედოთ თავი და აღმასრულებელ ფურცლის შეწყობით გაგეძევებინათ ის მოსახლე, რომელიც პირველად დაეპატრონა ქალაქის მამულს და მაშინ სხვები ვიღარ გაკადნიერდებოდნენო. რაკი პირველმა მოსახლემ დაუბრკოლებრივ გიკეთა შენობა, დანარჩენთაც აეშალათ საღერღელი საკუთარის ბინის გაკეთებისა იმ იმედით, რომ ალბად ქალაქი არა თუ გზაზედ არ გადაგვეღობება, არამედ ხელსაც შეგვწყობს, რომ ხრიაკი მამულები ჩვენ მაინც გამოვიყენოთო. ამ საყვედურს ხმოსანმა ა. ბაბოვმა დაუმატა: მაგ ხალხს ძალა-კი არ უსმარნია, პირიქით, მუდამ ეხვეწებოდა გამგეობას, თხოვნებს აძლევდა-გადაგვახდევინეთ ყოველი ხარჯი, ოღონდ ნება მოგვეცით დაკსახლდეთ ისეთ მამულებზედ, რომელიც დღეს თქვენთვის სრულებით უსარგებლოაო.

აი საყვედური, რომელიც უნდა ეცემოდეს ერთობ საგრძნობელს ნაკლს შეადგენს აქაური საზოგადოებისთვის.

იმედი გვაქვს, აგრეთვე, რომ ნაკლებად არ თანაუგრძნობენ ამ საშვილი-შვილო საქმეს და დაგვეხმარებიან: წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქართველთა ამხანაგობანი როგორც თბილისისა, აგრეთვე ქუთაისისა; ბ. ი. გოგებაშვილი, რომელმაც აღვითქვა თვის მიერ შედგენილის წიგნების უსასყიდლოდ დათმობა; ბ. ლ. აღნიაშვილი (თავის „ანბანი“-თ) და მრავალი სხვა კერძო პირი, ვისაც-კი ქართველთა გონების განათლებისათვის გული უძგერს. შემოწირულებათა გამოგზავნა შეიძლება ამ აღრესით: Въ м. Квирилы. Черезъ Шорапанское уѣздное правленіе въ м. Чхари. Попечителю Чхарской приходской школы священнику Моисею Джугели.

მარტი თავისებურად გვატყუებს; ხან გაზაფხულის სუნს გვასუნთქვინებს, ხან სუსხიან ზამთრისას; დღეს რომ წვიმს, ხვალ სთოვს, ზეგ სასტიკი ქარი ჰქრის, მაზეგ მზიანი, მყუდრო ამინდია და სხვ. დღე ხშირად აინაირად იცვლება. ავადმყოფობა თუ მატულობს, თორემ არ კლებულობს. ხალხი ისევ მშიერია, მაგრამ სასოწარკვეთილებაში არა ვარდება.

სვე. ჯუღელი

პატარა ლიახვის ხეობიდგან.

ისე აუტყდნენ ამ პატარა ლიახვის ხიდს, რომ ყბად-აღებული ლამის წყალს წაალებინონ. მთელის მახრისაგან ნაშრომ და ნაამგევს ჯერ თითო ოროლა მწერალნი გამოუჩნდნენ, რომელნიც ამტკიცებდნენ იმის უვარგისობას და ახლა იქამდის მივიდნენ, რომ დანგრევა და დაფუშვა დაუწყეს. ეს ამბავი ხუმრობა-კი არ გეგონოს მკითხველო. აი სწორედ თერთმეტ ამ მარტიდგან იწყეს ბოროტმომქმედთა დანგრევა ამ ხიდისა და აი ამ წერილს რომ გწერთ, თოთხმეტია და ყოველ ღამე თითქმის ხან მოაჯირებს, ხან რომელსამე ნაწილს ხიდისას ანგრევენ, თუმცა ოცდაერ ისწავლისო.

ხმოსანმა შახაზიზოვმა წარმოსთქვა, რომ ეგ ხალხი სრულებითაც არ არის ნამუსზედ ხელ-აღებული. რაკი ქალაქის მამულს დაეპატრონე, უნამუსო ხარო— ეუბნებიან საწყლებს და ძალიანაც სცდებიან ამისი მთქმელნი, იმიტომ რომ ყველანი კაცნი ვართ და ბერვრნი დაჰპატრონებიან ქალაქის მიწებს ისეთნაკი, რომელთაც სახლეები და ქარვასლები აქვთ წამოქიმული, მაგრამ აბა ერთი გაუბედეთ და უთხარით—ჰაი, შე უნამუსოვო! გარდა ამისა, მაგ საცოდავ ხალხს თავის ოფლი შიგ ჩაუღვრია და ეხლა თქვენ გინდათ, რომ ყოველისფერით ცარიელი და ღატაკი ხალხი ქოხებიდამაკი-კი ცარიელზედ დასვათ!.. მაგრეკი არა, ჩვენ მოვალენი ვართ ხელი შევუწყოთ ნაძალადევის ყოველ მოსახლეს და შეღავთით შევასყიდოთ მამულებიო.

ხმოსანმა ევანგულოვმა გაიოცა ასეთი მოსაზრება და უპასუხა—რაღა სინიდის გაწყვეტილ საწყლებს უნდა გაუმართოს ქალაქმა ხელი, როდესაც ნამუსიან საწყლებით სავსეა ჩვენი ტფილისიო და არა ნაკლებ ეჭირვებათ დახმარებაო.

ქალაქის მოურავმა მოახსენა კრეციების არ იყოს გატანჯული. ამ სენის წინააღმდეგ არავითარი წამალი არა სჭრის. ერთი საშუალება ის-ღა არის, რომ აჯიქაბულის მოხელენი და მცხოვრებელნი სხვაგან იქმნენ გადაყვანილნი.

გაზაფხულ-შემოდგომის დადგომას ადვილად იგრძნობენ ხოლმე აჯიქაბულის მცხოვრებელნი ციების დაწყებით. ექიმის სვერნიტსკის აზრით, ამ უბედურების აცდენა სრულიად ადვილად შეიძლება, საჭიროა მხოლოდ, რომ აჯიქიბულის ტბა-ჭაობების გარს ორასის საჟენის სიგანეზედ ხეხილები ჩაიყაროს. ეს ხეხილები ისე გასწმენდავენ ჰაერს, რომ ციება სრულიად მოისპობაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთი

ვ. კ. პლევეს თავმჯდომარეობით შემდგარმა კომისიამ სახელმწიფო საბჭოში წარადგინა პროექტი იმის წესდებისა, თუ როგორ უნდა იქმნენ მიღებულნი უცხო ქვეყნელი რუსეთის ქვეშევრდომებად და აგრეთვე როგორ ამოეწერნენ იქიდგან. უმთავრესი დებულება ამ პროექტისა შეიცავს: ყველა ის, ვინც ამ ოცი წლის განმავლობაში ამ ქვეყანაში ცხოვრობს, ან ამ ქვეყანაში ბინადრობს, ან ამ ქვეყანაში ბინადრობს, ან ამ ქვეყანაში ბინად

იცავს შემდეგს აზრს: ხსენებული პროექტით, არ შეიძლება რუსეთის ქვეშევრდომებად მიღებულ იქმნენ, იმათ გარდა, რომელნიც ეხლა არ მიიღებიან, ებრაელები, ყარაიმთა გარდა, და დავრიშები; ამასთან ებრაელთა მიღების აღკრძალვა არ შეეხება შუა აზიის ებრაელთ. უცხო ქვეყნელთა რუსეთის ქვეშევრდომად-დ მიღება დამოკიდებულია შინაგან საქმეთა მინისტრზედ.

რაც შეეხება რუსეთის ქვეშევრდომობიდგან ამოწერას, კანონ-პროექტს ორი შემთხვევა აქვს დასახელებული: ამოშვება ქვეშევრდომობიდგან და დაკარგვა ქვეშევრდომის უფლებისა. ქვეშევრდომობიდგან ამოწერა ნება-დართულ უნდა იქმნას შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ ჭ დასათხოვნი ნაწუმობაც მიეცეს ამის მსურველს. კანონ-პროექტის ძალით, არ შეიძლება რუსეთის ქვეშევრდომობიდგან დათხოვნილ იქმნენ, იმათ გარდა, რომელთა დათხოვნა ეხლა აღკრძალულია, ისინიც, რომელთა დათხოვნასაც ხელძღვანელად არ დაინახავს შინაგან საქმეთა მინისტრი. ამას გარდა შინაგან საქმეთა მინისტრს შეუძლიან უარი უთხრას იმათ, რომელთა რუსეთის ქვეშევრდომობიდგან ამოშვების წინაალმდეგაც საკმაო საბუთები იქმნება წარდგენილი. ქვეშევრდომობიდგან დათხოვნის მოწმობა ძალაში შედის იმ დღიდგან, რა დღიდგანაც მოწმობის მიმღები რუსეთის მიწა-წყალს დასტოვებს და საზღვარგარეულ წავა; ამ კანონ-პროექტით რუსეთის ქვეშევრდომობიდგან ამოშვებული ვალდებულია ექვსის თვის განმავლობაში დასტოვოს რუსეთის მიწა-წყალი; თუ ამ ვადის განმავლობაში არ წავიდა საზღვარ-გარეთ, მოწმობას ძალა ეკარგება და მისი მიმღები ისევ უწინანდებურადვე რუსეთის ქვეშევრდომთა შორის ირიცხება. იმას, ვინც რუსეთის ქვეშევრდომობიდგან იქმნება დათხოვნილი და უცხო ქვეყნის ქვეშევრდომთა აქვთ მინიკებული. იმათკი, რომელიც ათის წლის განმავლობაში საზღვარ-გარეულ სცხოვრობენ მთავრობის ნება-დაერთველად და პასპორტის შეუცვლელად, რუსეთის ქვეშევრდომობის უფლება დაკარგულად ეთვლებათ და უთხოვნელად იქმნებიან გამორიცხულნი რუსეთის ქვეშევრდომთა რიცხვიდგან.

უცხოეთი

ლორდ როზბერის სიტყვა.

შაბათს, 17 მარტს, ლორდ როზბერიმ ედინბურგში გრძელი საპოლიტიკო სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც სრულიად განმარტა თავისი აზრი ირლანდიისა და ლორდთა პალატის შესახებ. ეს სიტყვა-პასუხი იყო იმ სხვა-და-სხვა ხმისა, რომელიც გამოიწვია ახალის მთავარ-მინისტრის მართლაც გამოუტკვეველმა და ბუნდმა სიტყვამ, რომ ჰომრულის განსახორციელებლად ნამდვილ ინგლისელთა უმეტესობა არის საჭიროო. ეს სიტყვა ლორდმა როზბერიმ წარმოსთქვა ლორდთა პალატაში პარლამენტის სესსიის დაწყების დღესწორედ ამ სიტყვამ გამოიწვია უსიამოვნება საზოგადოების შორის, ლაბუშერმა კიცხვა დაუწყო კაბინეტს და დაამარცხა კიდეც მთავრობა. ამ დამარცხებამ ნათლად დაარწმუნა იგი, რომ გლადსტონის გადადგომის მიუხედავად, ირლანდიის საქმე ის ღერძია, რომლის გარეშემოც ამიერიდგან უნდა იტრიალოს ყოველ სალიბერალო კაბინეტის პოლიტიკამ, თუ უნდა, რომ უმეტესობა თავისკენა ჰყავდეს. მთავრობა აშკარად დარწმუნდა, რომ ამ საქმის უჩუმრად ჩატარება, არც გამოუტკვეველ და ბუნდოვან სიტყვებით მისის გზის ახვევა არ შეიძლება. ლორდი როზბერი ამის გამო იძულებულ იქმნა განემარტა თავისი სიტყვა და სწორედ მამაცადაც განმარტა იგი ედინბურგის კრებაზედ, რომელსაც 7,000 კაცი და ესწრო.

„სესსიის დაწყების დროს, როდესაც ირლანდიის შესახებ წარმოვსთქვი სიტყვაო, სთქვა ლორდმა როზბერმა, ასე ვფიქრობდი, რომ საკმაოდ ნათლად და გარკვევით ვამბობ-მეთქი ჩემს აზრს. სამწუხაროდ, ჩემს სიტყვას სულ სხვა აზრი მიაკერეს, ის აზრი, რომელიც ფიქრადაც არ მამსვლია. მე ვსთქვი, რომ თუ სურვილი გვაქვს და გვინდა ჰომრული განვახორციელოთ, ინგლისელთა შორის უნდა განვამტკიცოთ გრძნობა მისის საჭიროებისა-მეთქი. განა ეს იმასა ჰნიშნავს, რომ რომლისმე ლონისძიების განსახორციელებლად ინგლისის პარლამენტის შემწეობით საჭიროა ჩვენდა მომხრეთ ნამდვილ ინგლისელთა უმეტესობა გვყავდეს-მეთქი? ჩემის აზრის ასე განმარტებას პირველი მეგე წინაალუდგები ვითარცა შოტლანდიელი.

„მაგრამ თუ საჭირო შეიქმნა, რასაც არ ვამტკიცებ, ასეთის ღონისძიების ხმარება, რომ ლორდთა პალატას ჩამოვაცალოთ ერთი თავის გასამართლებელი საბუთთაგანი, ამ უმრავლესობის მოპოვებასაც შეეძლებთ. ჰომრულის განსახორციელებლად იმდენად პარლამენტში ხმის უმეტესობა არ არის საჭირო. ეს ხმის უმეტესობა უკვე ჩვენსკენ არის—რამდენადაც ის, რომ საზოგადოებრივმა აზრმა ინგლისისამ პირი იბრუნოს საზოგადოებრივ აზრზედ აფუძნებს ყოველს თავისს წინაალმდეგობას ამ ჟამად ლორდთა პალატა.

„წარსულს წელს ამ პალატამ უარჰყო ბილი ჰომრულისა, ის ბილი, რომელსაც მთელი სესსია მოანდომა საზოგადოებათა პალატამ. სხვა ვითარებაში მთელი ქვეყანა აღსდგებოდა ერთს კაცსაკით უპირატესობისამებრ ბოროტად მოხმარებისა გამო. მაგრამ ეს არ მოხდა ჭ ერის გულგრილობამ ირლანდიის თვით მართველობის შემოღების საქმის მიმართ საბუთი მისცა ლორდთა წინაალმდეგობას.

„აი, კიდეც ამიტომ ვამტკიცებ, საჭიროა-მეთქი, რომ ჯერ საზოგადოებრივი აზრი მივიმხროთ და მივიხიდოთ ჩვენსკენ, და ამის ქმნას შეეძლეს ეს კიდეც.

შემდეგ როზბერიმ აღნიშნა, რომ პარლამენტის მესამე სესსია უმეტესად შოტლანდიისა და ვალისის საქმეებს მოუნდება,ისკ, როგორც პირველი სესსია ირლანდიას მოუნდა და მეორე—ინგლისსაო, ახალი მთავარ-მინისტრი ლორდთა პალატის მდგომარეობას შეეხო.

„მე თვით წევრი ვიყავი ამ პალატისა და შიგნიდგან უფრო კარგად ვხედავდი, ვიდრე ამის დანახვა გარეგდგან შეიძლება,—რა საშიში და საფრთხილო დაწესებულებაა იგი სახელმწიფოს წესიერის ცხოვრებისათვის. მაგრამ ჩემი სიტყვა დარჩა ხმად მღაღადებელისად უდაბნოსა შინა. არავინ მომისმინა. დასასრულ, როდესაც ჩემი აზრი ერთს ჟურნალში გამოსცემეს და გამოვაცხადე, რომ ლორდთა პალატას, რომელსაც ასეთი დიდი უფლებანი აქვს მინიკებული და ისეთს ცუდს მიმართულებას-კი ადგას, საშიში და მავნებელი დაწესებულებაა-მეთქი, დამცინოდნენ,—ქარის წისქვილებს ებრძვითო; მეუბნებოდნენ, რომ ლორდთა პალატა ლანდია, მოჩვენება, განყენებული ოცნებაო. მერე რა აღმოჩნდა? ის ბოროტი, რომელადაც მე ამ ათის წლის წინად მიმაჩნდა ლორდთა პალატა, გაიზარდა, განვითარდა და ისეთი საშინელ შეიქმნა, როგორც დღეს არის იგი.

„ერთის მთავრობის დროს ლორდთა პალატა შეუბრალებელი წინაალმდეგია; შესდგება მეორე მთავრობა და ესევე პალატა მისი ყურ-მოჭრილი მონა შეიქნება. ყოველმა მუშამ იცის, რატომ მთლად იქმნა უარყოფილი ბილი მექარხნეთა პასუხის გების შესახებ, მაგრამ ამასთან ყოველმა მუშა-კაცმა ისიც იცის, ეს ბილი კონსერვატორ მთავრობას რომ შეეტანა, უეჭველად იქმნებოდა დამტკიცებული.

„ამ გვარად ისე გამოდის, რომ ჩვენ ლიბერალ მთავრობის დროს ორი პალატა გვაქვს და კონსერვატორ მთავრობის დროს-კი—ერთი.

„აი, ამიტომ ვამბობთ, რომ ეს პალატა ჩვენი დიდი დამაბკოლებელია და სახელმწიფოსათვის საშიში და საფრთხილო დაწესებულება-მეთქი.

„განა დასათმობია, რომ საზოგადოებათა პალატა, რომელიც სადემოკრატიო არჩევანის უფლებით შესდგება ხოლმე, დასჩაგროს მემკვიდრეობით დადგენილმა პალატამ, რომელშიაც ყოველ ლიბერალზედ ცხრა და ათი ტორია ითვლება.

„ბევრი ვიფიქრე, ამეცილებინა როგორმე თავიდგან ეს ბოროტი, ბევრი ვეცადე ისეთი საშუალება, რომ კონსტიტუციის მიერ დადებულ საზღვარს არ გადასცილდებოდა, მაგრამ ვერა ვიპოვნე-რა, ვერ ვიპოვნე მარტო იმიტომაც, რომ ყოველმა ბილმა კანონით ამ პალატის ხელში უნდა გიაროს. დაფიქრდით ამა ამ საგანზედ, თუ თვით ერი, თვით საზოგადოება არ დაგვეხმარა ამ საქმეში, ჩვენ უძლურნი ვართ. თქვენგან ველით შველასა და გზას მიმართულებისას; როდესაც ეს დახმარება გვექნება, მაშინ ვიფიქრებთ იმას, თუ რითი ეშველება ამ საქმეს“.

ამ სიტყვით ინგლისის ახალმა მთავარ-მინისტრმა გარკვევით აღნიშნა თავისი შინაგანი პოლიტიკა. ცხადად აღიარა, რომ მე ირლანდიის თავისუფლების მოსმხრე ვარო, ლორდთა პალატას ბრძოლა გამოუცხადა, და ამითი დაამტკიცა, რომ იგი ღირსეული მოადგილეა დიდებულის გლადსტონისა.

გასართობი

ერთი ინგლისელი ის იყო დაბრუნდა კალიფორნიიდგან, და ლონდონის ქუჩებში, სხვა უსაქმო ხალხთა შორის, დასეირობდა და მაღაზიებში იყურებოდა. უცებ იგრძნო თავის ჯიბეში ვიღაცის ხელის ფათური. აუშფოთებლივ, დინჯად დაიქირა ეს უბეიოთ ქურდი და როცა ქურდმა ხელწნა დაუწყო, პოლიციას ნუ დაუძახებო, მაშინ ინგლისელმა უთხრა, ან ვიკრეოთ და ან პირველსავე მახლობელ პოლიციის სადგურში წაგიყვანო. ქურდი ძლიერ წარმოსადეგი და ღონიერი ვეკაცი იყო. დაცინვით შეხედა ინგლისელს და სიამოვნებით დათანხმდა კრიგს, მაგრამ იმისი სიმარული ხანგრძლივი არ იყო: საცოდავს თავისი ხელი ინგლისის პირველ ბანკირის ჯიბეში ჩაეყო, ეს ბანკირი-კი ძლიერ მარჯვე და კრიეის მეცოდე იყო. რამდენისმე წუთის შემდეგ ჩვენი ჰერკულესი მიწაზედ გაშტილი ეგდო და ნახევარ საათს შემდეგ ცოცხალ-მკედარი წაიღეს სახლში ტკივილისა და შიშისაგან.

**

ვიღაც თავს იქებდა, დიდი მშრომელი კაცი ვარო. როცა მკვეხარა გავიდა ოთახიდგან, ერთმა იქ მყოფმა სთქვა: „ამის შრომას იმდენივე სარგებლობა მოაქვს, როგორც უზეირო მონადირეს, რომელიც ცუდ-უბრალოდ ჰხარჯავს თოფის წამალს და აფუთხებს ნადირსაო.“

შეიძლება ესევე ესთქვათ საზოგადოდ ყველა ადამიანის შესახებ და განსაკუთრებით უფროსთაც, რომელნიც ვითომ დიდად ჰშრომობენ, მაგრამ, პირ იქით, თავიანთი ფაატუცით მხოლოდ თავ-რიტს ასხამენ მოხდელთ და საქმე-კი იოტისოდენადაც არ მიდის წინ.

გამოსაძებელი ცნობა

ვარდი (Rosa rubra). მეკურნალი ა. ვ. ალექსეევი ბეჭდავს „Больничгазеть Боткина“-ში ერთ საშუალებას, ს

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-
დღე, კვირა დღეებს გარდ.

დილამობით:

ბ. ს. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახი-
რურგიო ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიჭოანი, 9—10 საათ. სნე-
ულებანი: თვალისა და ნერვებისა—
ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოფსკი, 10—11 საათ.
სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა
და დედათა სქესისა.

ი. ფ. ბროტასეფიჩი,—11½,—12½
საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის,
ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ს. მ. ტურბოფიჩი.
12½—1 საათ. სნეულებანი. დედა-
თა სქესისა.

ს. ბ. კარაბეტიანცი, 1—1½
საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბა-
ვშვებისა.

საღამოობით:

ს. გურკო, 6—7 საათ. სნეულე-
ბანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ს. ნავასარდიანი, 7—7½ საა-
თამდის.

ე. ი. ფრანტიუსი, 7—7½ საათ.
სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და
ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშა-
ბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერი-
ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და
ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნა-
ლოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტო-
რი მედიცინისა ნავასარდიანი.

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი
ოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის
2 საათამდე. (250—174)

50 руб. и больше **награды** получитъ тотъ, кто немедленно дастъ самыя точныя свѣдѣнія о послѣднемъ мѣстопребываніи Рудольфа Петровича Кауца, или доказательство его смерти. Рудольфъ Кауцъ до 1867 г. проживалъ въ Царствѣ Польскомъ, а около 1879 г. былъ на Кавказѣ.

Письма адресовать: Фабрика В. Кауца. Варшава, Эриванская, № 5.

ამხანაგობა
„ჯანმრთელობისა“
სუფეფოვანი
ხიმიკური-წმინდა
ბრინჯაური უმარილი
(ჯუდა).
ისყიდება საუკეთესო მაღაზიებში.
ნარდად შეიძლება ყიდვა:
ს.-პეტერბურგის ტეხნო-ქიმიურ
დაბორატორიაში.
ხ.-პეტერბურგი. ალექსანდრეს თე-
ატრის მოედანზედ, 9.
მოსკოვი, ნიკოლსკის ქუჩა, სახლი
შერემეტევისა.
ვარშავა, „ნოვი სვეტში“, 37.

ᲑᲐᲚᲐᲜᲡᲘ

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲒᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝ ᲡᲐᲡᲐᲓᲒᲘᲚᲝ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ 1 ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ 1894 ᲬᲚᲘᲡ

ᲐᲥᲢᲘᲕᲘ

	მან.	კაპ.	მან.	კაპ.
1) ნაღდი ფული კასაში	121051	11		
გირაოს ფურცლებად	245100	„		
კუპონების ახალ შესაცვლელ ფურ-ცლებად	28320	„		
გასაყიდველ გირავნობის ფურცელ-თა ძველ ტალონებად	367200	„	761,671	11
2) მიმომდინარე ანგარიშებზედ სხვა-და სხვა ბანკში	70362	11		
3) კორრესპონდენტებთა. ს.-პეტერბურგის თამასუქების გაძა-ნადღებელ და გამესხებელ ბანკ-ში 55.4858—41				
ვარშავის საკომერციო ბანკში	7,155	76		
4) მიბარებულობა ო. ხაისს ოდესაში	413	„	632,789	28
ა) სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში			60	57
ბ) საწეკრო ფული ტფილისის ურ-თი-ერთ შორის ნდობის საზოგადოე-ბაში				
5) ბანკის სარგებლიანი ქაღალდები:				
ა) სახელმწიფო და მთავრობის გა-რანტიის ქაღალდები, შენახულნი სა-ხელმწიფო ბანკის ტფილისის განყო-ფილებაში 85,450	80,766	08		
ბ) სხვა სარგებლიანი ქაღალდები 136,550	142,681	10		
გ) კორრესპონდენტებთან 74,800	71,854	80		
% ამათი	2,265	31	297,567	29
6) დიდ-ვადიანი სესხნი, რომელნიც გა-ცემულნი არიან ბანკის 28 მაისის 1874 წ. წესდების ძალით:				
ა) მამულის გირაოზედ 54½ წლით 170,471—58				
ბ) მამულის გირაოზედ 43½ წლით 145,797—07				
გ) ქალაქის უძრავ ქონებაზედ გი-რაოდ 27½ წლის 106,126—51	422,395	16		
ვადაზედ გადახდილი სესხი	5,604	84	428,000	„
ვადამდე გადახდილი სესხი				
7) დიდ-ვადიანი სესხნი, რომელნიც გა-ცემულნი არიან ბანკის 17 თებერვ-ლის 1881 წ. წესდების ძალით გი-რაოდ მიღებულს მამულზედ ურთი-ერთ შორის თავდებობის ქვეშ:				
ა) მამულის გირაოზედ 61 წლით და 8 თვითო 1.526,668—83				
ბ) მამულის გირაოზედ 48 წლით და 8 თვითო 10256—27				
გ) მამულის გირაოზედ 43½ წლით 885,039—90				
დ) ქალაქის უძრავ ქონებაზედ გი-რაოდ 36 წლით და 4 თვითო 6656095—11				
ე) ქალაქის უძრავ ქონებაზედ გი-რაოდ 27½ წლით. 3,062,585—80				
ვ) „ „ „ „ 29 წ. 9 თვითო 28,097—71				
ზ) „ „ „ „ 19 წ. 11 თვითო 36,622—64	12205366	26		
ვადაზედ გადახდილი სესხი 88,536—41				
ვადამდე გადახდილი სესხი 61,097—33	149,633	74	12355000	„
8) სესხნი, გასაცემად დანაშზულნი			78,000	„
9) გადასახადი, რომელსაც ჰკრნდა შე-ღავათი (§ 13 წესდებისა):				
ა) დიდ-ვადიანს სესხზედ	362,953	26		
ბ) მცირე ვადიანს სესხზედ	5,991	78	368,945	04
10) დებიტორები			20,863	10
11) ჯარიმა ვადაზედ შემოსატანის და-გვიანებისათვის			8,809	74
12) მცირე ვადიანი სესხნი			253,253	40
13) საკომისიოდ მიღებული გირავნო-ბის ფურცლები			612,984	25
14) დასაბრუნებელი ხარჯი			54,962	85
15) 5%-ნი სახელმწიფო გადასახადი კუ-პონებისა				
16) კუპონებსა და ტირაჟში გამოსულ-გირავნობის ფურცლებ. გადახდილი			365,79	64
17) ხარჯი:				
ბანკის მომართვა-მოწყობისათვის				
„ გამგეობა-მმართველისათვის			2085	60
18) ტფილისის სათავად-აზნაურო და წიხამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სესწავლებლის ხარჯი, რომელიც დაბრუნებულ უნდა იქმნეს სახო-გადო საქიროების თანხიდგან			31,400	„
ᲑᲐᲚᲐᲜᲡᲘ.			15942971	87

ᲞᲐᲡᲮᲘᲕᲘ

	მან.	კაპ.	მან.	კაპ.
1) ძირის ფული:				
ა) დიდ-ვადიანის სესხისათვის	188979	32		
ბ) მცირე ვადიანის სესხისათვის	193336	45	382,315	77
2) სათადარიგო თანხა:				
ა) სესხისა, რომელიც გაცემულია: 28 მაისის 1874 წლის წესად. ძალით	30453	59		
ბ) ურთიერთ შორის თავდებობით გაცემულ სესხისა	120131	11	150,584	70
3) თანხა საზოგადო საქიროებისათვის			131	„
4) ზედამხედველის კომიტეტის ხელშია.				
5) საყოველ-შემთხვევო თანხა			1,389	59
6) გირაოს ფურცლები დასახურდავებ-ლად გაცემულნი 28 მაისის 1874 წლით წესდების ძალით:				
54½ წლით	171,100	„		
43½ „	146,800	„		
27½ „	110,100	„	428,000	„
7) გირაოს ფურცლები, რომელნიც გა-გამოცემულნი არიან ურთიერთ შორის თავდებობით გირაოდ მიღებულ უძ-რავ ქონებათა:				
6%—43½ წლით	860250	„		
6%—27½ წლით	3118850	„		
5%—61 წ. და 8 თვითო	150,500	„		
5%—48 წ. და 8 თვითო	6,300	„		
5%—36 წ. და 4 თვითო	1112,400	„		
5%—29 წ. და 9 თვითო	27,100			
5%—უვადოდ	7005200		12280600	„
8) გირაოს ფურცლები ტირაჟში გამო-სულნი იმ ჯამისა, რა ჯამიც წესდების 89 § ძალით გადადებულ იყო არა-ვალდებულის თავნის გადახდისათვის			74,400	„
9) გირაოს ფურცლები, გამოსაცემად დანაშზულნი	4,700			
გირაოს ფურცლები, ექსპედიციის მი-ერ გამოცემულნი	73,300		78,000	„
10) გირაოს ფურცლები მობარებულნი			5,400	„
11) ვადამდე მოსასპ. დანაშზულნი სესხნი:				
ა) გირაოს ფურცლებით	54,800	„		
ბ) ნაღდის ფულით	61,097	33	115,897	33
12) ტირაჟში გამოსული გირ ოს ფურ-ცლები, ჯერ წარმოუდგენელი გა-დასახდელად:				
6%	726,200	„		
5%	89,900	„	816,100	
13) გირაოს ფურც. გადასახ. კუპონები:				
6%	143,360	60		
5%	193,493	„	336,853	60
14) სარგებლის ფონდი:				
6%	132,213	„		
5%	207537	50	339,750	50
15) თავ. გასასტუმ. ფონდი არა ურთიერთ-შორის თავდებ. გაცემულ სესხისა:				
54½ წლით	670	16		
43½ „	10,22	82		
27½ „	39,11	86	5, 604	84
16) თავნის გასასტუმრებელი ფონდი ურ-თიერთ შორის თავდებობით:				
6%—43½ წლით	3,845	51		
6%—27½ წლით	41,975	55		
5%—61 წ. და 8 თვითო	185	20		
5%—48 წ. და 8 თვითო	6483	85		
5%—34 წ. და 4 თვითო	217	59		
5%—29 წ. და 9 თვითო	35,828	71	88,536	41
5%—უვადოდ				
17) თავნის გასასტ. ფონდი არა სავალდ-ებულო გადასახ. იმ გირაოს ფურც. რომელნიც ურთიერთ შორის თავდ. პირობით არიან გამოცემულნი			64	12
18) გადამავალნი ჯამნი:				
ა) ნაღდის ფულით	72274	67		
ბ) გირაოს ფურცლებით	184,900	„		
გ) სახელმწიფო სარგებ. ქაღალდებით	525	„	257,699	67
19) კორრესპონდენტები:				
20) მსესხებელნი				
21) თანხა დაფასების. და სხვ. ხარჯად			31	97
22) მცირე ვადიან სესხის %-ები			1,324	79
23) ჯარიმა				
24) 5% სახელმწიფო გადასახადი კუპო.			1,344	64
25) კუპონის ახალი შესაცვლელი ფურც	28,320	„		
26) ძველი გასაყიდველი ტალონები	367,200	„	395,520	„
27) წმინდა მოგება			177,920	25
5% გარდასახადი მოგებიდგან			5,502	69
ᲑᲐᲚᲐᲜᲡᲘ.			15942971	87

Дозв. ценз. Тифлисъ, 21-го Марта 1894 г. სტამბა მ. ჭარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე